

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენელი თამარ კოჭლამაზაშვილი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსი.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება თუ იგი: „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.“

აღნიშნულ შემთხვევაში, აპელანტის აზრით, დაპირისპირებული ნიშნები არ არის აღრევამდე მსგავსი, ვინაიდან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შედგება ერთი სიტყვისაგან, ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება ორი სიტყვისაგან, რაც უკვე ანიჭებს ნიშნებს განმასხვავებელუნარიანობას.

აპელანტი ასევე ამახვილებს ყურადღებას განცხადებულ ნიშანში შემავალ სიტყვაზე „AIR“, რომელიც განლაგებულია სიტყვის „WICK“ წინ და მომხმარებელიც ყურადღებას ამახვილებს სწორედ პირველ სიტყვაზე, რაც მისი აზრით, კიდევ უფრო გამორიცხავს ნიშნების აღრევას.

აპელანტის წარმომადგენელს ასევე მოჰყავს მაგალითები საქართველოში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში სხვადასხვა კომპანიების სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნებისა, რომლებიც ერთი და იგივე სიტყვიერი აღნიშვნისაგან შედგებიან და რომლებიც ამავდროულად რეგისტრირებულნი არიან ერთსა და იმავე კლასში შემავალი მსგავსი და იდენტური საქონლის ან მომსახურებისათვის ჩამონათვლისათვის.

1. სასაქონლო ნიშანი - „AMBER LEAF“ (მოწ. №13575/03, 34-ე კლასი), განმცხადებელი – „Gallaher limited“

სასაქონლო ნიშანი - „AMBER“ (საიდ. №55691/03, 34-ე კლასი, განმცხადებელი – „Harrington Dvelopment Inc.“

2. სასაქონლო ნიშანი - „HOLIDAY INN“ (მოწ. №7438, 42-ე კლასი)

განმცხადებელი – „Six Continent Hotles, Inc.“

სასაქონლო ნიშანი - „LANDINGS By HOLIDAY INN” (მოწ. №11280, 42-ე კლასი), განმცხადებელი – „Bass Hotels & Resorts, Inc.”

3. სასაქონლო ნიშანი - „Jet2 HOLIDAYS” (მოწ. №17294, 39-ე და 43-ე კლასები) განმცხადებელი – „Jet2.com Limited“

სასაქონლო ნიშანი - „EMIRATES HOLIDAYS“ (მოწ. №16889, 39-ე და 43-ე კლასები), განმცხადებელი – „Six Continent Hotels, Inc.” და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმული აპელანტის აზრით, ანიჭებს სასაქონლო ნიშნებს განმასხვავებელუნარიანობას და საქართველოში ორივე ნიშნის რეგისტრაცია და ერთსა და იმავე გასაღების ბაზარზე გამოყენება არ გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას მწარმოებლის მიმართ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აპელანტი ითხოვს არგუმენტაციისა და თანდართული მასალების გათვალისწინებას, ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „AIR WICK” (საიდ. №55435/03) რეგისტრაციას განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განცხადებული ნიშანი ორსიტყვიანია და შედგება სიტყვების „AIR” და „WICK“ –საგან, რაც შეეხება დაპირისპირებულ ნიშანს იგი წარმოადგენს ერთი აღნიშვნისაგან შემდგარ ნიშანს „WICK”. ძირითადი დატვირთვა განცხადებულ ნიშანში კეთდება სწორედ მის საწყის სიტყვაზე „AIR” („ეარ”). ასევე, განსხვავებულია ნიშნების ფონეტიკაც. მომხმარებელი ნიშნებს გამოთქვამს, როგორც „ეარ ვიკ” და „ვიკ”. შესაბამისად, დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდებიან, როგორც ფონეტიკურად ისე ვიზუალურად.

ამასთან, სააპელაციო პალატაში წარმოდგენილ იქნა კომპანია „რეკიტ ბენკისერ აგ” (ყოფილი: „რეკიტ & კოლმან აგ”) და დაპირისპირებული ნიშნის მფლობელ კომპანია „ზე პროქტერ & გემბლ კომპანი” შორის 2003 წლის 27 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტები სასაქონლო ნიშნებს „AIR WICK” და „WICK” შორის, კომპანიები თანხმდებიან ნიშნების თანაარსებობაზე. მათ შორის კომპანია „ზე პროქტერ & გემბლ კომპანი” იღებს ვალდებულებას, რომ გამოიყენებს მის კუთვნილ სასაქონლო ნიშანს „WICK” კონკრეტული საქონლის ჩამონათვლისათვის (მაგ: საკვები კონსერვანტები,

კოსმეტიკა, პარფიუმერია, ჩაი, ყავა და ა.შ). ხოლო თავის მხრივ კომპანია „რეკიტ & კოლმანი აგ“ იღებს ვალდებულებას, რომ სიტყვიერ აღნიშვნებს „AIR“ და „WICK“ გამოიყენებს მხოლოდ ერთად, არ გამოყოფს რაიმე დამატებითი ელემენტით და არ გააკეთებს სიტყვაზე „WICK“ განსაკუთრებულ აქცენტს. ამასთან, სიტყვები „AIR“ და „WICK“ გამოყენებულ უნდა იქნეს ორ რიგად და სიტყვა „AIR“ განლაგებული უნდა იქნეს ზუსტად სიტყვის „WICK“ ზემოთ. ხელშეკრულება ვრცელდება, როგორც ცენტრალური, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები ვრცელდება მხარეთა აფილირებულ კომპანიებზე. ვინაიდან, აპელანტი კომპანია „კოლმან & რეკიტ (ოვერსიზ) ლიმიტედ“ და კომპანია „რეკიტ ბენკისერ აგ“ მიეკუთვნებიან „რეკიტ ბენკისერ გრუფ“-ის კომპანიათა ჯგუფს, აღნიშნული ხელშეკრულების პირობები ასევე ვრცელდება აპელანტ კომპანიაზე.

აქედან გამომდინარე, არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მთლიანად დაკმაყოფილდეს კომპანია „რეკიტ & კოლმან (ოვერსიზ) ლიმიტედ“ სააპელაციო საჩივარი.
2. ბათილად იქნას ცნობილი საქპატენტის თავმჯდომარის 2010 წლის 4 ოქტომბრის №669/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „AIR WICK“ (საიდ. 55435/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-3 და მე-5 კლასების საქონლის ჩამონათვლისათვის.
3. სასაქონლო ნიშანი „AIR WICK“ (საიდ. 55435/03) დარეგისტრირდეს ასევე მე-3 და მე-5 კლასების განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი,

აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6.) გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ებუტია

წევრები:

რ. ჯაფარიძე

ი. მულაღაშვილი